კანონთა და მთავრობის განკარგულებათა

კრებული

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა.

1919 წ. ივლისის 3 № 10 პირველი ნაწილი

13749

შინაარსი:

კან. 77. დეკრეტი სახელმწიფოს დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად 65.827.720 მან. გადადებისა.
„ 78. სამთო სამართველოს სასინჯი განყოფილებისა.
„ 79. საზომ-საწონთა პალატისა.
„ 80. უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა.
„ 81. დეკრეტი დამფუძნებელ კრების წევრთა გასამრჯელოს გადიდებისა.
„ 82. დეკრეტი 1.500.000 მან. გადადებისა საქონლის ჭირის ასაცრელ შრატის დამმზადებელ სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.
„ 83. დეკრეტი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთა დასახმარებლად დამატებით ორი მილიონი მანეთის გადადებისა.
„ 84. პირველ-დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსების მოწყობისა.
„ 85. საშუალო სასწავლებელთათვის ავანსის გადიდებისა.
„ 86. რატიფიკაცია საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკათა შორის დადებულ შეთანხმებისა.
„ 87. დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში ოცი მილიონი მანეთის გადადებისა ადგილობრივ საქონლის დასამზადებლად, უცხოეთში გასატანად და უცხოეთის საქონლის საქართველოში შემოსატანად.

... მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук Г...

77. დეკრეტი

სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად 65.827.720 მან. გადადებისა.

1. გადადებულ იქნეს მთავრობის განკარგულებაში ამა 1919 წ. ივნისის 1-დან აგვისტოს 31-დე ყოველთვიურად სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად, ამ დეკრეტთან დართულ ნუსხის თანახმად, სამოცდახუთი მილიონი რვაას ოცდაშვიდი ათას შვიდას ოცი (65.827.720) მან.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 13.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

ნუსხა

1919 წლის ივნისის 1-დან აგვისტოს 31-დე მთავრობის განკარგულებაში გადასაცემ ყოველთვიურ კრედიტებისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად.

№№ რიგზე	უწყებათა სახელწოდება	რაოდენობა თვიურად მანეთობით
1	დამფუძნებელი კრება	280.465
2	მთავრობის საქმეთა მართველობა	26.008
3	შინაგან საქმეთა სამინისტრო	5.339.707
4	განათლების „	3.127.287
5	სამხედრო „ და სახალხო გვარდია (ოთხ-ოთხი მილ. თვიურად)	24.937.200
6	საგარეო „	261.466
7	იუსტიციის „	1.925.998
8	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო .	1.835.021
9	მიწათ-მოქმედების „	5.245.179
10	გზათა „	21.790.922
11	შრომის „	33.208
12	სახელმწიფო კონტროლი	191.925
13	ხარჯთ-აღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯები . .	833.334
	საერთო ჯამი . .	65.827.720

1919 წ. ივნისის 13.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

78. კანონი

სამთო სამართველოს სასინჯი განყოფილებისა.

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის საოლქო სასინჯი სამართველო საქართველოს ტერიტორიაზედ.

2. ზემოხსენებულ სამართველოს (მუხ. 1) ყველა მოხელე დატოვებულ იქნეს შტატ გარეშე და ვინც ჩარიცხულ არ იქნება ახლად დაარსებულ სასინჯ განყოფილებაში (მუხ. 3 ამა კანონისა), მიეცეს სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით.

3. დაარსდეს საქართველოს სამთო სამართველოსთან სასინჯი განყოფილება. გადაეცეს ამ სამართველოს ყოველი ქონება და საქმე ამიერკავკასიის საოლქო სასინჯ სამართველოსი და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატი.

4. მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან სამთო სამართველოს ახლად დაარსებულ სასინჯ განყოფილების შესანახად, ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, ამა წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე, სულ 26.375 მან. შემდეგის განაწილებით:

1) შტატ გარეშე დარჩენილთა დასაკმაყოფილებლად სალიკვიდაციო შემწეობად 2.000 მან;

2) ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისათვის 24.375 მან.

5. ამიერ-კავკასიის საოლქო სასინჯი სამართველოს კრედიტი ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვისა პირადი შედგენილობისათვის დახურულ იქნეს.

6. გადაცემულ იქნეს საქართველოს სამთო სამართველოს განკარგულებაში ამიერ-კავკასიის გაუქმებულ საოლქო სასინჯ სამართველოს ყოველი ანგარიში.

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

უ ტ ა ტ ი

სამთო სამართველოს სასინჯი განყოფილებისა.

№№ რიგზე	თანამდებობა	რიცხვი	წლიური ჯამაგირი თვითეულს		ყველას იანვრის 1-დან ივნისის 1-დე		შენიშვნა
			მან.	კ.	მან.	კ.	
1	განყოფილების უფროსი . . .	1	9000	—	3750	—	
2	უფროსი მსინჯველი	1	7800	—	3250	—	
3	უმცროსი „	2	7200	—	6000	—	
4	მსახური	1	3600	—	1500	—	
5	დამატებითი ჯამაგირი სამთო სამართველოს მდივანს . .	1	600	—	250	—	
	ჯამი . . .		35400	—	14750	—	

	დამატება:	წლიურად		1919 წ. იანვ. 1-დან ივნისის 1-დე		
		მან.	კ.	მან.	კ.	
1	საკანცელარიო და სამეურ. ხარჯი .	5500	—	2291	66	
2	ტეხნიკური მასალა	3500	—	1458	33	
3	ახალი დაღების შეძენა	1500	—	625	—	
4	საფოსტო გადასახადი	1000	—	416	66	
5	ბინის ქირა	1200	—	500	—	
6	გათბობა და განათება	1200	—	500	—	
7	სასინჯი სამართველოს გადატანა სამთო სამართველოში . . .	3000	—	3000	—	
8	საგზაო და საკვები ხარჯი . . .	2000	—	833	33	
	ჯამი .	18900	—	9624	98	
	სულ	54300	—	24374	98	

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

79. კანონი

საზომ-საწონთა პალატისა.

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზედ ტფილისის საზომ-საწონთა გასასინჯი პალატა № 24.

2. ზემოხსენებულ პალატის (მუხლი 1) ყოველი მოხელე დატოვებულ იქნეს შტატ გარეშე და ვინც ჩარიცხულ არ იქნება საქართველოს ახლად დაარსებულ საზომ-საწონთა პალატაში (მუხლი 3 ამა კანონისა), მიეცეს სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით.

3. დაარსდეს საზომ-საწონთა პალატა. გადაეცეს ამ პალატას ყოველი ქონება და საქმე ტფილისის საზომ-საწონთა პალატისა № 24 და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატი.

4. მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან საზომ-საწონთა პალატის შესანახად ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, ამა წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე, სულ 26.958 მან. 33 კაპ. შემდეგის განაწილებით:

1) შტატ გარეშე დარჩენილთა დასაკმაყოფილებლად სალიკვიდაციო შემწეობად 2000 მან.;

2) ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისათვის 24.958 მან. 33 კაპ.

5. ტფილისის საზომ-საწონთა პალატის № 24 კრედიტი ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვისა პირად შედგენილობისათვის დახურულ იქნეს.

6. გადაცემულ იქნეს საქართველოს საზომ-საწონთა პალატის განკარგულებაში ტფილისის საზომ-საწონთა გაუქმებულ № 24 პალატის ყოველი ანგარიში.

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

შტატი

საზომ-საწონთა პალატისა.

№№ რიგ.	თანამდებობა	რიცხვი	წლიური ჯამაგირი თვითეულს		ყველას იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე		შენიშვნა
			მან.	კ.	მან.	კ.	
1	პალატის გამგე	1	10200	—	4250	—	
2	შემმოწმებელი	1	9000	—	3750	—	
3	„	1	7800	—	3250	—	
4	საქმის მწარმოებელი, იგივე პრაქტიკანტი	1	7200	—	3000	—	
5	მსახური	1	3600	—	1500	—	
6	მეორე მსახური	1	3600	—	1500	—	
	ჯამი . .	—	41400	—	17250	—	

	დამატება:	წლიურად.		1919 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე	
		მან.	კ.	მან.	კ.
1	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	5000	—	2083	33
2	ბინის ქირა	1500	—	625	—
3	ბინის გათბობა-განათება	2000	—	833	33
4	ბინის დაქირავება პროვინციაში . .	3000	—	1250	—
5	საგზაო და დღიური ხარჯი პროვინციაში	7000	—	2916	66
	ჯამი .	18500	—	7708	33
	სულ	59.900	—	24.958	33

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

80. კ ა ნ ო ნ ი

უქმე დღეების რიცხვის შემცირებისა.

სამრეწველო შრომის წესდების მე-198 მუხლსა და ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის ნოემბრის 29-ს გამოცემულ რვა საათის სამუშაო დღის დეკრეტის მე-20 მუხლში ჩამოთვლილ უქმეებიდან, როდესაც მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს, გამოირიცხოს: მირქმა უფლისა—თებერვლის 15, დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე—სამშაბათი, მეორე დღე სული-წმიდის მოფენისა, ფერისცვალება უფლისა—აგვისტოს 19, მიძინება ღვთისმშობლისა—აგვისტოს 28, ჯვართ-ამაღლება—სექტემბრის 27 და ტაძრად მიყვანება—დეკემბრის 4.

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

81. დ ე კ რ ე ტ ი

დამფუძნებელ კრების წევრთა გასამრჯელოს გადიდებისა.

1. საქართველოს დამფუძნებელ კრების მიერ ამა 1919 წლის აპრილის 4-ს მიღებულ კანონის მე-3 მუხლით („კანონ. და მთავრ. განკ. კრებული“ № 6, კან. მე-42) განსაზღვრული გასამრჯელო დამფუძნებელ კრების წევრისა ათას ხუთასი მან. (1500 მ.) თვიურად ამა 1919 წლის ივნისის 1-დან გადიდებულ იქნეს ორი ათას ხუთას (2500) მანეთამდე.

2. 1919 წლის აპრილის 8-ს დამტკიცებულ დამფუძნებელ კრების ხარჯთ-აღრიცხვის 1-ლ მუხლის დამატებად გაღებულ იქნეს ყოველთვიურად ივნისის 1-დან აგვისტოს 31-დე ას ოცდაათი ათასი (130.000) მან., ხოლო დანარჩენი ჯამი ამ ზედ-მეტის ხარჯისა შეტანილ იქნეს სახელმწიფოს 1919—1920 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში.

3. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

82. დეკრეტი

1.500.000 მან. გადადებისა საქონლის ჭირის ასაცრელ შრატის დამმზადებელ სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მილიონ ნახევარი (1.500.000) მანეთი საქონლის ჭირის ასაცრელ შრატის დამმზადებელ სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

83. დეკრეტი

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთა დასახმარებლად დამატებით ორი მილიონი მანეთის გადადებისა.

1. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან ორი მილიონი მანეთი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაზარალებულ და დამშეულ მცხოვრებთა დასახმარებლად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა გადაცემულ იქნეს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში დანიშნულებისამებრ დასახარჯად.

3. აღმოეჩინოს ამ მაზრების მცხოვრებთ დახმარება ისეთ ხორბლეულ და საბოსტნე სათესლის მიწოდებით, რომელთა მოყვანა მიმდინარე წელს კიდევ შესაძლებელია.

4. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 17.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

---

84. კანონი

პირველ-დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსების მოწყობისა.

1. გაიხსნას მიმდინარე წლის ივნისის 25-დან სახალხო სკოლების ორას ორმოცდაათ (250) მასწავლებლის მოსამზადებლად ორის თვის კურსები.

2. მიენდოს სახალხო განათლების მინისტრს შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესი კურსების საერთო ხელმძღვანელობისა, აგრეთვე მასწავლებელთა მოწვევისა, მსმენელთა მიღებისა, გამოცდისა და წოდების მინიჭებისა.

3. აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან სამას ოცდათოთხმეტი ათასი (334.000) მანეთი.

4. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 20.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

ხარჯთ-აღრიცხვა

პირველ-დაწყებით სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად საზაფხულო კურსებისა.

№№ რიგებზე	ხარჯის საგანი	რიცხვი	თვითთოეულს თვიურად.	ყველას თვეებრივად.	ყველას ორის თვეში
1	მსმენელი	250	600	150.000	300.000
2	ლექტორი	20	600	12.000	24.000
					324.000
3	მოულოდნელი ხარჯი				10.000
				სულ	334.000

1919 წ. ივნისის 20.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

85. კანონი

საშუალო სასწავლებელთათვის არსებულ ავანსის გადიდებისა.

გადიდდეს სახაზინო საშუალო სასწავლებელთათვის არსებული ავანსი ას ორმოცდაათი მანეთიდან ათას მანეთამდე.

1919 წ. ივნისის 20.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი**

---

86. რატიფიკაცია

საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკათა შორის დადებულ შეთანხმებისა.

საქართველოს რესპუბლიკის და აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობათა შორის ქალაქ ტფილისში ამა ათას ცხრაას ცხრამეტის წლის ივნისის თექვსმეტს დადებული შეთანხმების აქტი დამტკიცებულ იქნეს.

1919 წ. ივნისის 22.

დედანს ხელს აწერს:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

თარგმანი.

შეთანხმების აქტი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ერთის მხრით, წარმოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის **გეგეჭკორის,** სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრის **რამიშვილის,** სამხედრო მინისტრის ამხანაგის გენერალ **გედევანიშვილის,** სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ **ოდიშელიძისაგან**—

და აზერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მეორეს მხრით, წარმოდგენელი გარეშე საქმეთა მინისტრის **ჯაფაროვის**, სამხედრო მინისტრის **მეხმანდაროვისა** და გენერალურ შტაბის უფროსის გენერალ **სულკევიჩისაგან,**

გაეცნენ რა რწმუნებულებას და სცნეს იგი სათანადო ფორმითა და სახით შედგენილად,

იმ სერიოზულ საფრთხის გამო, რომელიც მოელის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, დასდეს შეთანხმება ესე შემდეგ საფუძველზე:

1. ამ შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავის შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხლებლობას.

შენიშვნა. პარაგრაფი ესე არა ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესაძლოა ასტყდეს საზღვრების გამო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გადამიჯვნის ნიადაგზე.

2. უკეთუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, უკვე დაწყებულ, პირველ პარაგრაფით ნაგულისხმევ, სამხედრო მოქმედების დროს, თავს დაესხმის ერთს ან ორივე მოკავშირეს საზღვრის გამო დავის იარაღით გადაჭრის მიზნით, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარეთ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს მარტოოდენ თავდაცვის ხასიათი და უკეთუ ერთი მხარეთაგანი თავის ინიციატივით, წინასწარ შეუთანხმებლად, ომს გამოაცხადებს ან სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. ამ შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებულნი არიან ყოველი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა ჩამოვარდეს მათ შორის საზღვრების გამო, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით გადასწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

5. შეთანხმება ესე დადებულია სამი წლის ვადით. ერთი წლის წინ, ამ ვადის გასვლამდე, თვითეულ შეთანხმების დამდებ მხარეს უფლება ენიჭება განაცხადოს თავისი სურვილი შეთანხმების განგრძობისა ახალი ვადით, ან შეთანხმებაზე უარის თქმისა. უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას მხოლოდ დადებულ ვადის გასვლისას.

6. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სოლიდარულად გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკება, მიმართული ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის.

7. უკეთუ პირველსა და მეორე პარაგრაფებში აღნიშნული პირობები შეიქმნა, შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებული არიან სეპერატიული ზავი არ შეჰკრან.

8. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სხვა სახელმწიფოსთან სამხედრო კონვენციები არ შეჰკრან მოკავშირესთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. უკეთუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულ ვადის გასვლამდე დაარსდა **ხალხთა ლიგა**, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას, იმ მომენტიდან, როდესაც ამ შეთანხმების დამდები რესპუბლიკები შევლენ ხალხთა ლიგაში, ეს შეთანხმება ჰკარგავს ძალას.

10. ამიერ-კავკასიის მესამე რესპუბლიკას—სომხეთს უფლება ენიჭება, ორი კვირის განმავლობაში, ამ შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან, განაცხადოს, რომ თანახმაა ამ შეთანხმებას შემოუერთდეს.

11. რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ქალაქ ბაქოში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა.

12. ეს შეთანხმება შედგენილია ორ დედნად.

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**
სამხედრო მინისტრი **ნ. რამიშვილი.**
სამხედრო მინისტრის ამხანაგი
გენერალ-მაიორი **გედევანიშვილი.**
გენერალი **ოდიშელიძე.**

აზერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი **მ. ი. ჯაფაროვი.**
სამხედრო მინისტრი გენერალი **მეხმანდაროვი**
გენერალურ შტაბის უფროსი
გენერალი **სულკევიჩი.**

ქალაქი **ტფილისი.**
ათას ცხრაას ცხრამეტი წელი, ივნისის მეთექვსმეტე დღე.
რუსულ დედანთან სწორია:
საქართველოს დამფუძნებელ კრების იურიდიულ
კომისიის თავმჯდომარე **რ. არსენიძე.**

АКТЪ СОГЛАШЕНІЯ

Правительство Республики Грузіи съ одной стороны, представленное Министромъ Иностранныхъ Дѣлъ **Гегечкори**, Министромъ Военнымъ и Внутренныхъ Дѣлъ **Рамишвили**, Помощникомъ Военнаго Министра Генераломъ **Гедевановымъ** и Членомъ Военнаго Совѣта Генераломъ **Одишелидзе**,

и Правительство Азербейджанской Республики съ другой стороны, представленное Министромъ Иностранныхъ Дѣлъ **Джафаровымъ**, Военнымъ Министромъ Генераломъ **Мехмандаровымъ** и Начальникомъ Генеральнаго Штаба Генераломъ **Сулькевичемъ**,

которые ознакомились съ полномочіями и нашли ихъ въ должной формѣ и надлежащемъ видѣ,

заключили, въ виду серьезной угрозы независимости Закавказскихъ Республикъ, настоящее соглашеніе на слѣдующихъ основаніяхъ:

1. Договаривающіяся государства обязуются выступать совмѣстно всѣми вооруженными силами и военными средствами противъ всякаго нападенія, угрожающаго независимости или территоріальной неприкосновенности одной или обѣихъ договаривающихся Республикъ.

ПРИМѢЧАНІЕ. Параграфъ этотъ не распространяется на пограничные конфликты, могущіе возникнуть на почвѣ еще не закончившагося территоріальнаго размежеванія Закавказскихъ Республикъ.

2. Если какое либо сосѣднее государство, во время уже открывшихся согласно § 1-го военныхъ дѣйствій нападетъ на одного или обоихъ союзниковъ съ цѣлью разрѣшенія силою оружія пограничныхъ споровъ, то таковое государство признается воюющей стороной.

3. Настоящее соглашеніе носитъ строго оборонительный характеръ, и если одна изъ сторонъ, по собственной иниціативѣ, безъ предварительнаго соглашенія, объявляетъ войну или открываетъ военныя дѣйствія, то другая договаривающаяся сторона не обязана участвовать въ этихъ военныхъ дѣйствіяхъ.

4. Договаривающіяся стороны обязуются всѣ могущіе возникнуть между ними споры о границахъ разрѣшать путемъ соглашенія или арбитража, рѣшенія котораго признаются окончательными и обязательными для обѣихъ сторонъ.

5. Настоящее соглашеніе заключается срокомъ на три года. За годъ до истеченія этого срока каждой изъ договаривающихся сторонъ предоставляется право заявить о своемъ желаніи продлить его на новый срокъ, или объ отказѣ отъ соглашенія; въ послѣднемъ случаѣ соглашеніе теряетъ силу лишь по истеченіи назначеннаго срока.

6. Договоривающіяся стороны обязуются солидарно выступать и вести дипломатическіе переговоры, направленные къ охранѣ независимости и суверенныхъ правъ обоихъ государствъ.

7. При наступленіи условій, указанныхъ въ §§ 1 и 2-мъ, договаривающіяся государства обязуются не заключать сепаратнаго мира.

8. Договаривающіяся стороны обязуются не заключать военныхъ конвенцій съ другими государствами безъ предварительнаго согласія союзника.

9. Если до истеченія срока, указаннаго въ § 5-мъ, создастся Лига Народовъ, гарантирующая независимость и неприкосновенность границъ всѣмъ государствамъ, входящимъ въ ея составъ, то съ момента вступленія договаривающихся Республикъ въ Лигу Народовъ настоящее соглашеніе утрачиваетъ силу.

10. Третьей Закавказской Республикѣ—Арменіи предоставляется право въ двухнедѣльный срокъ со дня оффиціальнаго сообщенія настоящаго договора заявить о своемъ согласіи присоединиться къ этому соглашенію.

11. Обмѣнъ ратификаціями производится въ гор. Баку въ двухнедѣльный срокъ со дня подписанія.

12. Настоящее соглашеніе составлено въ двухъ подлинникахъ.

Министръ Иностранныхъ Дѣлъ Грузіи *Гегечкори*

Военный Министръ *Н. Рамишвили*

Помощникъ военнаго Министра Генералъ-Маіоръ *Гедевановъ*

Генералъ *Одишелидзе*

Министръ Иностранныхъ дѣлъ Азербейджанской Республики *М. Ю. Джафаровъ.*

Военный Министръ *Мехмандаровъ.*

Начальникъ Генеральнаго Штаба Генералъ-Лейтенантъ *Сульжевичъ.*

Городъ Тифлисъ.

Тысяча девятьсотъ девятнадцатаго года
Іюня шестнадцатаго дня.

233
1919

87. დეკრეტი

მთავრობის განკარგულებაში ოცი მილიონი მანეთის გადადებისა ადგილობრივ საქონლის დასამზადებლად, უცხოეთში გასატანად და უცხოეთის საქონლის საქართველოში შემოსატანად.

1. გადაიდოს მთავრობის განკარგულებაში ოცი მილიონი (20.000.000) მანეთი ადგილობრივ საქონლის დასამზადებლად, უცხოეთში გასატანად და უცხოეთიდან საქართველოში პირველ საჭიროების საქონლის შემოსატანად, ან უცხოეთის ვალიუტის შესაძენად.

შენიშვნა. აღნიშნული თანხა შეიძლება გაცემულ იქნეს როგორც ბონებით, ისე საქართველოს ხაზინის 5% ვალდებულობით.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 24.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარის მოადგილე **ევ. გეგეჭკორი.**

აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени акад. И. Гришашвили
Академия наук